ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1298807

ნომერი: AR1223331

თარიღი : 27.05.2014

გაცემის თარიღი : 05.06.2014

გაცნობის თარიღი : 05.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუაჩიძე , N 41 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:

- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.09.2013წ. #912948 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 05/27/2014წ. #AR1223331 განაცხადით მომართა თამაზ მურვანიძემ და მოითხოვა სამსახურის 23.09.2013წ. #912948 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 23.09.2013წ. #912948 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი (ნაძალადევი), ბუაჩიძის ქ. #41-ში, ი.ბ.ა. „ბუაჩიძია 41“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცამშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლის განმარტებით, პროექტის შეთანხმებისას, საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, კერძოდ, დაფიქსირდა: სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 251.5 და საერთო ფართობი (კვ.მ).: 2605.9.
აღნიშნულის გამო, დღეისათვის, სამსახურს მომართავს 23.09.2013წ. #912948 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის არქიტექტორი და ითხოვს ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და მიეთითოს: სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 351.5 და შესაბამისად, საერთო ფართობი (კვ.მ).: 2705.9, ხოლო დანარჩენი მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.09.2013წ. #912948 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 351.5 და საერთო ფართობი (კვ.მ).: 2705.9, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.09.2013წ. #912948 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. #7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.